

საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვის უფლებების ცენტრი

სპეციალური ანგარიში
საქართველოს მატალმეტიან რეგიონებში
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ



2015



საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვის უფლებების ცენტრი

სპეციალური ანგარიში
საქართველოს მალაქმთიან რეგიონებში
ბავშვთა უფლებებში მდგომარეობის შესახებ



2015

WWW.OMBUDSMAN.GE

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის(იუნისეფი) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.



შინაარსი.....	3
ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.....	4
შესავალი.....	4
1. მონიტორინგის პროცესში გამოყენებული სამართლებრივი ინსტრუმენტები.....	5
კანონმდებლობის ანალიზი.....	5
2. მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	6
2.1. განხორციელების ეტაპები.....	6
2.2. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და რეაგირება.....	7
3. ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება..	8
4. ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა.....	12
5. ზოგადი განათლების უფლების განხორციელება.....	21
6. ბავშვთა მიმართ ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.....	29
7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა უფლებების განხორციელება.....	34
8. მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების განხორციელება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.....	41

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სპეციალურ ანგარიშს, რომელიც ასახავს 2014 წლის 1 მაისიდან 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების“ ფარგლებში საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის შედეგებს.

მონიტორინგის ამოცანას წარმოადგენდა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების იმპლემენტაციის შემოწმება ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენას, არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო პრაქტიკული რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავების გზით.

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების ძირითად პრინციპებს განეკუთვნებოდა სანდოობა, კონფიდენციალობა, უსაფრთხოება, პროფესიონალიზმი, სიზუსტე, მიუკერძოებლობა, ობიექტურობა, სენსიტიურობა, თვალსაჩინოება და პოპულარიზაცია¹. ამასთან, მონიტორინგის პროცესში აქტიურად იქნა გამოყენებული გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) სახელმძღვანელო პრინციპები, სტანდარტები და რეკომენდაციები, კომიტეტის 2000 წლის 28 ივნისისა და 2008 წლის 23 ივნისის დოკუმენტები „დასკვნითი მითითებები ბავშვის უფლებების შესახებ“², რომელთა იმპლემენტაციისათვის, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება განხორციელდა სისტემური და სიღრმისეული მონიტორინგის საფუძველზე, თანასწორობის, არასათანადო მოპყრობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის, არასრულწლოვანთა მონაწილეობისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

მონიტორინგი განხორციელდა მესტიის, ყაზბეგის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ხულოს, შუაქევისა და ქედას ტერიტორიულ ერთეულებში.

ანგარიშში ასახულია მონიტორინგის შედეგები შემდეგი ძირითადი სფეროების მიმართულებით: სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების განხორციელება, ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა და იმპლემენტაციის ხარისხი, არასრულწლოვანთა ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობისაგან დაცვა, განათლების უფლების ხელმისაწვდომობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობა.

მონიტორინგის ძირითადი ჯგუფის შემადგენლობა:

მაია გედევანიშვილი – სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრის უფროსი, ფსიქოლოგი;

¹ გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (2001), ადამიანის უფლებების მონიტორინგის სახელმძღვანელო, პროფესიული ტრენინგების სერია #7, თავი V, ძირითადი პრინციპები, გვ. 87, ქენევა, 2001, ISBN 92-1-154137-9.

² <http://www.refworld.org/type/CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

მარიამ ბოჭორიშვილი – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების“ იურისტი;

მარიამ ჯანიაშვილი – საქართველოს სახალხო დამცველის აპარატისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი პროექტის „ბავშვის უფლებების ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერების“ იურისტი.

1. მონიტორინგის პროცესში გამოყენებული სამართლებრივი ინსტრუმენტები

1. კანონმდებლობის ანალიზი – საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგის სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს შემდეგი შიდა საკანონმდებლო და საერთაშორისო აქტები:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- გაეროს ბავშვის უფლებების კონვენცია;
- გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია;
- ევროპის საბჭოს კონვენცია „სექსუალური ექსპლოატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“;
- ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
- „პერსონალურ მონაცემთა“ დაცვის შესახებ საქართველოს კანონი;
- „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 11 ნოემბრის ბრძანება „სკოლამდელი განათლებისა და აღზრდის ეროვნული მიზნების“ დამტკიცების შესახებ;
- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ–№496–№45/ნ
- „სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

2001 წლის №308/ნ ბრძანება;

- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის დადგენილება №78 – ტექნიკური რეგლამენტი „ბავშვთა სკოლამდელ დაწესებულებებში კვების ორგანიზაციის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს პარლამენტის 2000 წლის 28 სექტემბრის დადგენილება №520–II „სკოლამდელ დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სავალდებულო ჯანმრთელობის ცნობების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის №762 განკარგულებით დამტკიცებული „ბავშვთა კეთილდღეობისა და დაცვის 2012–2015 წლების სამოქმედო გეგმა“;
- ევროპის საბჭოს კონვენცია „ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ“;
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ სხვა საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი აქტები.

აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტების საფუძველზე მონიტორინგის პროცესში განხორციელდა კანონმდებლობის ანალიზი და გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შეპირისპირება (შეფარდება).

2. მონიტორინგის მეთოდოლოგია

2.1. განხორციელების ეტაპები

პირველი ეტაპი:

- შესამოწმებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული დაწესებულებების შერჩევა, ინსტრუმენტების შემუშავება;
- დასამონიტორინგებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობების ორგანოების მიერ შემუშავებული პროგრამების/ქვეპროგრამების შერჩევა, სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა, შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება;
- დოკუმენტაციის გამოთხოვა, წარდგენა და ინფორმირება;
- მონიტორინგის პროცესისა და შეფასებისათვის საჭირო ფოტო და აუდიო მასალის, დოკუმენტაციის ასლების მოპოვება.
- **განსახორციელებელი ქმედებები:** სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობების პასუხისმგებლობას დაქვემდებარებული დაწესებულების მონიტორინგი, მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის დადგენა,

ბენეფიციართა ფსიქო-სოციალური განვითარების, შესაძლებლობებისა და დაინტერესების რეალიზების გათვალისწინებით.

განხორციელებული ქმედებები: ჩატარდა მონიტორინგი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლა-პანსიონებში. ვიზუალურად და დოკუმენტურად შემოწმდა 30 სასწავლო-სააღმწერდლო დაწესებულება, ხოლო 80-მდე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიმართ განხორციელდა ინდივიდუალური საქმისწარმოება და გამოთხოვილი იქნა შესაბამისი ინფორმაცია.

- **განსახორციელებელი ქმედებები:** სამუშაო შეხვედრები სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლებთან, სისტემური პრობლემების განხილვა, ინდივიდუალური დარღვევების იდენტიფიცირება.

განხორციელებული ქმედებები: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეგიონულ ცენტრებში, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელ ორგანოებში ჩატარდა 20 თემატური სამუშაო შეხვედრა.

- **განსახორციელებელი ქმედებები:** მდგომარეობის ადგილზე შემოწმებისა და ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით, შეხვედრების განხორციელება ყველაზე დაუცველ და მოწყვლად ბავშვთა ჯგუფებთან.

განხორციელებული ქმედებები: პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ბავშვიან ოჯახებში, ჩატარდა შეხვედრები შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან და ადგილობრივი მულტიიდისციპლინური გუნდის წარმომადგენლებთან, განხორციელდა თემატური შეხვედრები, დაიწყო ინდივიდუალური საქმისწარმოება, გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია.

2.2. მონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაციის/მონაცემების დამუშავება და რეაგირება

მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაცია და გამოვლენილი დარღვევები დამუშავდა შემდეგი მეთოდებისა და ღონისძიებების მიხედვით:

- **რეკომენდაციები და წინადადებები³** – მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის დარღვევის ინდივიდუალური/კოლექტიური შემთხვევების იდენტიფიკაციის შემდეგ, დარღვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით, შესაბამისი რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიმართ წარსადგენად.

მონიტორინგის ფარგლებში მომზადდა 6 ძირითადი რეკომენდაცია და წინადადება;

³ სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი.

- **საქმისწარმოება**⁴ – მონიტორინგის პროცესში გამოვლენილ დარღვევათა შემთხვევებზე ინდივიდუალური საქმისწარმოების განხორციელება, პასუხისმგებელი სახელმწიფო/თვითმმართველობის ორგანოებიდან ინფორმაციის/ახსნა-განმარტებისა და შემოწმებისათვის საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის მიზნით.
- მონიტორინგის ფარგლებში ინდივიდუალური საქმისწარმოება განხორციელდა 190 შემთხვევაზე, რომელზეც მომზადდა 400-მდე ოფიციალური კორესპონდენცია პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოებისადმი წარსადგენად;
- **შესრულების მონიტორინგი** – მომზადებული რეკომენდაციებისა და წინადადებების შესრულებაზე განხორციელდა შესაბამისი მონიტორინგი;
- **ანგარიში** – მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მომზადდა შუალედური და სპეციალური ანგარიშები.

3. ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება

არსებული მდგომარეობა

ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლება ავალდებულებს სახელმწიფოს, სოციალური თანასწორობის პრინციპის ფარგლებში, განხორციელოს ეფექტური ინტერვენციები არასრულწლოვანთა თანაბარზომიერი სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებებით უზრუნველსაყოფად.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმებამ და შესაბამისი სახელმწიფო პროგრამების ქვეპროგრამების ანალიზმა (ცხრილი №1) გამოავლინა, რომ მაღალმთიან რეგიონებში არასახარბიელო მდგომარეობა ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან დაცვის უფლების მხრივ. გამოწვევად რჩება უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებში მცხოვრებ არასრულწლოვანთა სათანადო საკვებითა და ტანსაცმლით, საცხოვრებელი პირობებითა და საჭირო სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფა.

მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს როგორც უკიდურეს, ისე ფარდობით სიღარიბეში. ამასთან, აღნიშნულ რაიონებში სათანადოდ ვერ ხორციელდება ადრეულ ასაკში ბავშვთა განვითარებისა და პერინატალური ზრუნვის სახელმწიფო პროგრამების სისტემური დანერგვა, ასევე, ამ მიზნით დაფინანსებული, ინკლუზიური და ინტეგრირებული პოლიტიკისა და ქვეპროგრამების იმპლემენტაცია 0-6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვისათვის, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისათვის.


გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემების⁵ მიხედვით, ჯერ კიდევ 2011 წელს **ბავშვთა 9.4 პროცენტი** უკიდურესად ღარიბ შინა მეურნეობებში ცხოვრობდა. UNICEF-ის

⁴ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-12 მუხლი.

⁵ UNICEF, „საქართველო-ბავშვთა სიღარიბის შემცირება“, თბ., 2012.

ანგარიშის⁶ თანახმად, მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ქვეყანაში ბავშვთა სიღარიბის შესამცირებლად საჭიროებას წარმოადგენდა სოციალური დაცვის მექანიზმების გაუმჯობესება სოციალური შეღავათების უკეთ გასანაწილებლად - მიზნობრივ სქემებში ბავშვთა საჭიროებების ადეკვატური ასახვა; მიზნობრივი სოციალური დახმარებისა და სამედიცინო პროგრამების მთლიანი დაფარვის გაზრდა სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, ყველა ღარიბი შინამეურნეობის მოსაცვლად.

2014 წლის 14 აპრილს საქართველოს მთავრობის №291 დადგენილებით დამტკიცდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც „კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარების“ ქვეპროგრამის ფარგლებში ითვალისწინებს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილებას, თუმცა ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფი ზოგადია და ნორმატიულ დონეზე არ არის გაწერილი ბენეფიციართა განმსაზღვრელი ხელშესახები კრიტერიუმები. ამასთან, დაბალია მაღალმთიანი რაიონებიდან ზემოაღნიშნულ ქვეპროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობა – ბავშვიანი 38 ოჯახი 8 მაღალმთიანი რეგიონისათვის, მაშინ, როდესაც აღნიშნულ რაიონებში სოციალური პაკეტის მიმღები 1510, ხოლო საარსებო შემწეობის



6 UNICEF, „საქართველო და ბავშვის უფლებათა კონვენცია“, თბ., 2011.

მიმღები 8638 არასრულწლოვანია რეგისტრირებული⁷ (იხ. ცხრილი №1).

2014 წლის 31 მარტს, საქართველოს მთავრობის №262 დადგენილებით დამტკიცდა „დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“, რომელშიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საქართველოს მაღალმთიანი რეგიონებიდან ჩართულ იქნა 102 ოჯახი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს არ წარმოადგენენ ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახები, მაშინ, როდესაც არასრულწლოვანთა სიღარიბის მაჩვენებელი და შემდგომი რისკ-ფაქტორები აღნიშნულ რეგიონებშიც საკმაოდ მაღალია (იხ. ცხრილი №1).

სოციალური უფლებების უზრუნველყოფის სისტემის ფარგლებში მოქმედი სახელმწიფო პროგრამების/ქვეპროგრამების ანალიზისას ასევე იკვეთება, რომ ისინი არასათანადოდ ასახავს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკურ საჭიროებებს. შესაბამისად, ეფექტური ინტერვენციები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება არასრულწლოვანთა თანაბარზომიერი დაცვა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონისაგან, დღემდე ვერ ხორციელდება.

პროექტის ფარგლებში ასევე შესწავლილ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დამტკიცებული ის სოციალური პროგრამები, რომლებიც ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის შემცირებაზეა ორიენტირებული. მუნიციპალური პროგრამების/ქვეპროგრამების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა, რომ ადგილობრივ დონეზე მოქმედი, სიღარიბისგან დამცავი მექანიზმები, ძირითადად, ორიენტირებულია მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ ბავშვებზე, თუმცა ხასიათდება მცირე დაფინანსებით. დაბალია პროგრამებში ჩართულ ბენეფიციართა რაოდენობაც. მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტში მოქმედ „მრავალშვილიან ოჯახებში ახალშობილი და მარჩენალდაკარგული ბავშვებისათვის განკუთვნილი სოციალური დახმარების“ პროგრამით გათვალისწინებულია, რომ პროგრამის ბენეფიციარი ოჯახებისთვის განკუთვნილია 3 შვილზე – 80 ლარის, 4 შვილზე – 100 ლარის ოდენობით ერთჯერადი ფულადი დახმარება. ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედ „მუნიციპალური უფასო სასაბუღალტრო“ მიზნობრივ ქვეპროგრამაში 2014 წლის განმავლობაში ჩართულ იქნა მხოლოდ 3 არასრულწლოვანი ბენეფიციარი.

კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც გამოიკვეთა, ეხება მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახების დაბალ ინფორმირებულობას მიზნობრივი სოციალური დახმარების სისტემით გათვალისწინებული ქვეპროგრამების ფარგლებში მოქმედი სერვისების შესახებ. აღნიშნული მდგომარეობა ფიქსირდება როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობების დონეზე მოქმედი მუნიციპალური პროგრამების მიმართ. ინფორმაციული ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი დამაბრკოლებელი გარემოებაა სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური სამსახურების არაეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობის ყველაზე დაუცველ ფენებთან.

7 http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=882

http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=766

http://ssa.gov.ge/index.php?lang_id=&sec_id=775

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, ხოლო 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს ოჯახის კეთილდღეობას.

ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის მიხედვით, „ამ პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე“. ხოლო მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, ხელშემკვრელ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, მისთვის ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, მიიღოს ზომები ამ პაქტით აღიარებული უფლებების სრული რეალიზაციისათვის ყველა სათანადო საშუალებებით, საკანონმდებლო ზომების მიღების ჩათვლით. ამასთან, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში №12 (1999წ.) განმარტება მისცა სათანადო კვების უფლებას. „საკვების რეალიზაციის უფლებას მხოლოდ მაშინ აქვს ადგილი, როდესაც ყველა ბავშვს ნებისმიერ დროს აქვს სათანადო საკვებზე ფიზიკური და ეკონომიკური ხელმისაწვდომობა ან მისი მოპოვების საშუალება“.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას ცხოვრების დონეზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის“, ხოლო მე-3 პუნქტის ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში უნდა ატარებდნენ ყველა საჭირო ზომას, მატერიალურ დახმარებას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ პროგრამებს, განსაკუთრებით კვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სერვისების განვითარებას.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ“ 54-ე პუნქტში გაიწერა, რომ სახელმწიფომ უნდა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვთა სიღარიბის აღმოსაფხვრელად, განსაკუთრებით, სოფლად და მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვიანი ოჯახებისათვის⁸.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილების „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ პირველი მუხლის „ა“ პუნქტით დამტკიცდა საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა (2014–2015 წლებისათვის), რომლის 13.3.1. პუნქტის თანახმად, ბავშვთა სიღარიბის აღმოფხვრის მიზნისათვის საჭიროა, **ბავშვთა სოციალური დაცვის სისტემის გაუმჯობესება, რაც მოიცავს მიზნობრივი სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფას ბავშვთა საჭიროებების**

⁸ <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

უკეთ ასახვისათვის (ს.გ.13.3.1.1.).

რეკომენდაციები საქართველოს მთავრობას:

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა სიღარიბისა და ცხოვრების არასათანადო დონის შემცირების/აღმოფხვრის მიზნით:

- შემუშავდეს სათანადო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უკიდურესად ღარიბ შინამეურნეობებისა და ფარდობით სიღარიბეში მცხოვრებ არასრულწლოვანთა საჭიროებების გათვალისწინებით;
- გაუმჯობესდეს მიზნობრივი სოციალური დახმარებების სისტემა, სახელმწიფო პროგრამებში/ქვეპროგრამებში პროპორციულად აისახოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვთა სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებები;
- განხორციელდეს ეფექტური ინტერვენციები მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ ბავშვიან ოჯახებში სოციალური დახმარების პროგრამების/ქვეპროგრამების შესახებ ინფორმაციული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად.

4. ბავშვთა ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობა

არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში – მესტიის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ხულოს, შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტებში, განხორციელდა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა, რომ აღნიშნული რიგ ტერიტორიულ ერთეულებსა და სოფლებში არ ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტები და საავადმყოფოები, ამბულატორიების დიდ ნაწილს არ ჰყავს ბავშვთა ექიმი (პედიატრი), რაც არასრულწლოვნებისათვის ქმნის პრობლემებს სახელმწიფო სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და უწყვეტობის მხრივ (იხ. ცხრილი №2). ასევე, პრობლემურ ხასიათს ატარებს ადგილობრივი ამბულატორიების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, მოქმედი სამედიცინო პერსონალის პროპორციული შეუთავსებლობა ფუნქციონირებადი ამბულატორიების რაოდენობასთან (იხ. ცხრილი №2), პირველადი ჯანდაცვის ცენტრების საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფა.

ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლებში დასაქმებულია 20 ექიმი და 23 ექთანი. სოფლების დიდ ნაწილში⁹, არ ფუნქციონირებს ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებები (პოლიკლინიკები, ადგილობრივი ამბულატორიები და სხვა სამედიცინო პუნქტები). უახლოესი სამედიცინო დაწესებულებები მდებარეობს 6–8 კილომეტრით დაშორებულ ტერიტორიულ ერთეულებში. მსგავსი მდგომარეობაა შუახევისა და ქედას მუნიციპალიტეტების ტერიტორიულ ერთეულებსა და სოფლებში.

⁹ ხულოს მუნიციპალიტეტის 78 სოფლიდან პირველადი ჯანდაცვის ცენტრი ფუნქციონირებს 9 სოფელში.

დაბა ხულოში ფუნქციონირებს ადგილობრივი საავადმყოფო, თუმცა დაწესებულებაში არ ჰყავთ საჭირო კვალიფიკაციის პერსონალი და არ არის შესაბამისი აპარატურა სამედიცინო გამოკვლევების ჩასატარებლად.

მსგავსი მდგომარეობაა მესტიის, ონისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ორგანოებსა და სოფლებში. მაგალითად, ონის მუნიციპალიტეტის 10 ადგილობრივ ამბულატორიას ემსახურება 2 პედიატრი და 1 ექთანი. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ხუთი ტერიტორიული ორგანოდან სამში ფუნქციონირებს ადგილობრივი ამბულატორიები, თუმცა არასათანადო სამედიცინო აღჭურვის პირობებში. ამასთან, განსაკუთრებით პრობლემურია სოფლებში არსებული მდგომარეობა, სადაც ადგილობრივი სამედიცინო პუნქტები ძირითადად არ ფუნქციონირებს და იქ მცხოვრებ არასრულწლოვანებს შეზღუდული აქვთ სახელმწიფო სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება. მაგალითად, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ცახში, ტოლასა და იწაში ადგილობრივი ამბულატორიები არ ფუნქციონირებს და პაციენტების მიღება ხორციელდება კერძო სახლში. მსგავსი მდგომარეობაა სხვა მაღალმთიან მუნიციპალიტეტებშიც (იხ. ცხრილი №2).

2014 წლის 17 ნოემბერს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, მაღალმთიან რეგიონებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას აფერხებს დეფიციტური და პრიორიტეტული სპეციალობების ექიმთა ნაკლებობა. ამ პრობლემის გადასაჭრელად იგეგმება საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი განათლების კურსის (რეზიდენტურის) დაფინანსება სახელმწიფოს მიერ. მართალია, აღნიშნული ხელს შეუწყობს ჯანდაცვის უფლების განხორციელებას, თუმცა შესაძლოა, ნაკლებ ეფექტიანი იყოს ბავშვებისათვის სამედიცინო მომსახურების მიღების უწყვეტობისა და რაოდენობრივი პროპორციის კრიტერიუმების შესასრულებლად.

რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამების ანალიზს, აღსანიშნავია, რომ იკვეთება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მიერ ჯანდაცვის შესაბამისი სერვისების სისტემური მიწოდების პრობლემები, მუნიციპალური პროგრამების მცირე რაოდენობა და არასაკმარისი დაფინანსება. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №2 დადგენილების „მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მე-5 მუხლით გაწერილი სამიზნე ჯგუფები და პრიორიტეტული მიმართულებები არ ასახავს არასრულწლოვანთა ჯანდაცვის უზრუნველყოფ სერვისებს.

მუნიციპალურ დონეზე მოქმედი პროგრამების ნაწილი ორიენტირებულია ბავშვთა სამედიცინო მედიკამენტებით უზრუნველყოფაზე, თუმცა ხასიათდება მცირე საბიუჯეტო დაფინანსებით. მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტში „18 წლამდე ასაკის მოავადე ბავშვებისათვის მედიკამენტებით უზრუნველყოფისათვის“ ფულადი დახმარების ქვეპროგრამით გათვალისწინებულია, რომ თითოეულ ბენეფიციარზე ერთჯერადად გაცემული თანხა არ უნდა აღემატებოდეს 100 ლარს.

პროექტის ფარგლებში ასევე გამოიკვეთა, რომ მაღალმთიან რეგიონებში მცირეწლოვან

ბავშვებს არ უტარდებათ მალნუტრიციის პრობლემების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებები. მაშინ, როდესაც დეფიციტური კვებით გამოწვეული სიკვდილიანობისა თუ ავადობის, ასევე, გონებრივი თუ ფიზიკური უნარების შეფერხების რისკები აღნიშნულ რეგიონებში საკმაოდ მაღალია. გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მონაცემებით, ყოველწლიურად 5 წლამდე ასაკის 300 ბავშვი იღუპება დედის ანემიის, მცირე წონის, ფოლიუმის მჟავასთან დაკავშირებული თანდაყოლილი ანომალიებისა და სუბოპტიმალური ძუძუთი კვების გამო¹⁰.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) ანგარიშის „საქართველო – ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების“ თანახმად, საქართველოში ჯანმრთელობის დაცვის ეროვნულ პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამედიცინო ინფრასტრუქტურისა და კომპეტენტური საკადრო რესურსების უწყვეტი განვითარების მეშვეობით. აღნიშნული პრიორიტეტის ეფექტურობის შეფასების კომპონენტებს კი წარმოადგენს ჯანდაცვის სისტემის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და ჯანდაცვის სისტემის რესურსების პროდუქტიული გამოყენების უზრუნველყოფა¹¹. მიუხედავად იმისა, რომ ჯანდაცვის სერვისების ტერიტორიული ხელმისაწვდომობის პრიორიტეტულობა ასევე გაიწერა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2013 წლის „ჯანდაცვის სისტემის ეფექტურობის შეფასების ანგარიშში“, დღემდე პრაქტიკული ღონისძიებები აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად ვერ განხორციელდა¹².

მიუხედავად იმისა, რომ როგორც საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების, ისე მოქმედი შიდა სამართლებრივი აქტების ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ სამედიცინო მომსახურებისა და დაწესებულებების თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის და ამ მიზნის იმპლემენტაციისთვის, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, გაატარონ ქმედითი და ეფექტიანი ღონისძიებები, სახელმწიფოს მიერ დღემდე სათანადო დონეზე არ არის განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის უფლების ტერიტორიული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის პრინციპი.

¹⁰ UNICEF, „ჯანდაცვის გაუმჯობესება და კეთილდღეობის ზრდა: რა უნდა გაკეთდეს საქართველოში ქალებსა და ბავშვებში მალნუტრიციის ადამიანური და ეკონომიკური ზიანის შესამცირებლად“, <http://unicef.ge/uploads/REPORT-ge.pdf>

¹¹ http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2011/07/2009_Shepaseba_Jand.-Sistemis-Angarishi_Georgia.pdf

¹² <http://www.healthrights.ge/wp-content/uploads/2013/01/jandacvis-sistemis-efekturobis-angarishi.pdf>

ცხრილი №2¹³

მესტიის მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი ბეჩო	ამბულატორია საჭიროებს კაპიტალურ რემონტს
სოფელი ეცერი, სოფელი ლენჯერი, სოფელი ხაიში	სამედიცინო ამბულატორია არ ფუნქციონირებს. პაციენტების მიღება ხდება კერძო ბინაში
ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	მესტიის მუნიციპალიტეტის სოფლების 12 ამბულატორიულ ცენტრს ემსახურება 3 პედიატრი და 2 ექთანი

ონის მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფლები – ლაგვანთა, წოლა, ხირხონისი, ქორთა, ქრისტესი, სხიერი	სამედიცინო ამბულატორია არ ფუნქციონირებს. პაციენტების მიღება ხდება კერძო ბინაში
სოფელი გლოლა	ამბულატორია განთავსებულია საკრებულოს შენობაში, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია

¹³ წარმოდგენილი ცხრილის ინფორმაციის წყაროა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან, შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობების აღმასრულებელი ორგანოებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია №01/98787–10/12/2014, №01/151815– 12/12/2014, №04–1321–19/12/2014, №20111/1–19/12/2014, №19961/1–17/12/2014, №19845/1–15/12/2014.

ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	ონის მუნიციპალიტეტის სოფლების 10 ამბულატორიულ ცენტრს ემსახურება 2 პედიატრი და 1 ექთანი
---	--

ხულოს მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი დეკენაშვილები, სოფელი ქედლები (ძველი შენობა), სოფელი ზედა ვაშლოვანი (ძველი შენობა)	საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია
სოფელი ღორჯომი	ამბულატორია განთავსებულია ყოფილი საავადმყოფოს შენობაში, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია.
ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლების 14 ამბულატორიას ემსახურება 3 პედიატრი და 1 ექთანი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი სიონი	ამბულატორიის შენობა განთავსებულია საკრებულოს შენობაში, ინფრასტრუქტურა მოუწყვსრიგებელია

სოფელი სნო	ამბულატორიის შენობა განთავსებულია სკოლის შენობაში, ინფრასტრუქტურა მოუწყესრიგებულია.
ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფლების 3 ამბულატორიულ ცენტრს ემსახურება 1 პედიატრი და 1 ექთანი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი ცახი, სოფელი ტოლა, სოფელი იწა	ამბულატორიის შენობა არ ფუნქციონირებს. პაციენტების მიღება ხდება კერძო ბინაში.
სოფელი ჯვარისა	ამბულატორია განთავსებულია ბიბლიოთეკის შენობაში, მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.
სოფელი ქვიშარი-ჭყვიში, სოფელი თლუღი, სოფელი ღადიში, სოფელი ჩორჯო	ამბულატორია განთავსებულია გამგეობის შენობაში, მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია
ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფლების 21 ამბულატორიას ემსახურება 3 პედიატრი და 1 ექთანი

შუახვევის მუნიციპალიტეტი

სოფელი/ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი დღვანი	ძველი შენობა, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია
სოფელი ბარათაული	ამბულატორია განთავსებულია სკოლის შენობაში, საჭიროებს რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია
დაბის საექიმო უბანი	ამბულატორია განთავსებულია ყოფილი საუბნო საავადმყოფოს შენობაში, საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია.
ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	შუახვევის მუნიციპალიტეტის სოფლების 11 ამბულატორიას ემსახურება 1 პედიატრი და 1 ექთანი.

ქედას მუნიციპალიტეტი

სოფელი /ტერიტორიული ცენტრი	მდგომარეობა
სოფელი დანდალო	საჭიროებს კაპიტალურ რემონტს, ინფრასტრუქტურა მოუწყობელია

ამბულატორიებისა და პერსონალის რაოდენობა	ქედას მუნიციპალიტეტის სოფლების 10 ამბულატორიას ემსახურება 1 პედიატრი და 1 ექთანი
---	--

სამართლებრივი რეგულირება

ჯანმრთელობისა დაცვის უფლება, როგორც სოციალური სახელმწიფოს პრინციპის გამოხატულება, განმტკიცებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის ნორმატიული შინაარსით. აღნიშნული, სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, წარმოშობს ერთი მხრივ, სახელმწიფოს ვალდებულებას, ხელმისაწვდომი გახადოს ჯანმრთელობის უფლების დასაცავად საჭირო სამედიცინო სერვისები და მეორე მხრივ, ინდივიდის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის უფლებით. თუმცა იმ შემთხვევაში, თუკი თავად ჯანმრთელობის უფლების დამცავი სერვისებია ხელმიუწვდომელი, ინდივიდის უფლება განუხორციელებელი რჩება.

საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლით განმტკიცებული ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების უფლება მოიცავს სამ ურთიერთდაკავშირებულ კრიტერიუმს: გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა – ამბულატორიული სამედიცინო დაწესებულებების განლაგება ხელმისაწვდომ გეოგრაფიულ ერთეულებში, რათა დროულად განხორციელდეს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენა; ფინანსური ხელმისაწვდომობა – სახელმწიფოს მხრიდან ყველა მოქალაქისათვის ჯანდაცვის უზრუნველყოფა, საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობა სახელმწიფოს სამედიცინო პროგრამების მეშვეობით და ინფორმაციული ხელმისაწვდომობა – პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების შესახებ ყველა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული კრიტერიუმებიდან საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის პრობლემას წარმოადგენს გეოგრაფიული და ინფორმაციული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

„ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, პაქტის მონაწილე სახელმწიფომ, თითოეული ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის უფლების განსახორციელებლად, უნდა მიიღოს ზომები ისეთი პირობების შესაქმნელად, რომლებიც, ავადმყოფობის შემთხვევაში, ყველასათვის უზრუნველყოფს სამედიცინო დახმარებასა და მოვლას.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ გაეროს კომიტეტის (CESCR) 2008 წლის 11 აგვისტოს მე-14 კომენტარის „ჯანმრთელობის უფლების ხელმისაწვდომობის მაღალი სტანდარტის“ ნორმატიული შინაარსიდან გამომდინარე, ჯანმრთელობის უფლების ძირითად ელემენტებს განეკუთვნება ხელმისაწვდომობა, მისაღებობა და ხარისხი. მათგან, ხელმისაწვდომობის ფუძემდებლური პრინციპის ფარგლებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის დაწესებულებები, მომსახურება და პროგრამები უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რაც მოიცავს ჯანმრთელობის ფუძემდებლური პირობების, საავადმყოფოების, კლინიკებისა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვა

დაწესებულებების ფუნქციონირებას, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ექიმებისა და სამედიცინო პერსონალის არსებობას.

ამასთან, გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კონვენციის ხელშემკვერელი სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით, ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ შეეღაზოს უფლება, ხელი მიუწვდებოდეს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ამგვარ შესაძლებლობებზე.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტის 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები ბავშვის უფლებების შესახებ“¹⁴ 44-ე პარაგრაფის ანალიზიდან გამომდინარეობს, რომ საქართველოში ბევრ ბავშვს, გეოგრაფიული პირობების გამო, შეზღუდული აქვს წვდომა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და დაწესებულებებზე. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად კი კომიტეტის რეკომენდაციაა – სახელმწიფოს შესაბამისმა ორგანოებმა ქვეყანაში დანერგონ ჯანმრთელობის უფლების დაცვის მაღალი სტანდარტი შესაბამისი რესურსების გაზრდის მეშვეობით.

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“, „ბ“ და „კ“ პუნქტები განამტკიცებენ სამედიცინო დახმარების საყოველთაო და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, პატივის, ღირსებისა და მისი ავტონომიის აღიარებას, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, მათ შორის, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პრიორიტეტულობას, საოჯახო მედიცინისა და ოჯახის ექიმის ინსტიტუტის განვითარებას და მასზე დაფუძნებული სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულია გარკვეული სახელმწიფო პროგრამები/ქვეპროგრამები, რომელთა მიზანია ქვეყანაში ჯანმრთელობის უფლების განხორციელება და საყოველთაო ხელმისაწვდომობა. აღნიშნული პროგრამები/ქვეპროგრამები ძირითად აქცენტს აკეთებს ფინანსურ ხელმისაწვდომობაზე და ნაკლებად შეეხება ტერიტორიულ ხელმისაწვდომობას. „2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 ოქტომბრის №279 დადგენილება“ და ამავე წლის 31 დეკემბრის №397 დადგენილება „იმ სახელმწიფო პროგრამების/მათი ღონისძიებების/მოცულობების განსაზღვრის შესახებ, რომელთა განხორციელებაც სახელმწიფოს მიერ 2013 წელს ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად უწყვეტად გაგრძელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში განსახორციელებელი 2014 წლის შესაბამისი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცებამდე ან/და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებამდე ან ვაუჩერის პირობების შესაბამისად, შესაბამისი მიმწოდებლის გამოვლენამდე“ გაწერს მოსახლეობისათვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების ფინანსური ხელმისაწვდომობის ასპექტებს, თუმცა არ ეხება ტერიტორიული ხელმისაწვდომობის საკითხებს. როგორც

¹⁴ <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

ზემოთ გამოიკვეთა, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით ბავშვებისათვის, მეტად პრობლემური საკითხია.

რეკომენდაციები საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- შეიმუშაოს სათანადო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის დაცვის უფლების ხელმისაწვდომობის გაზრდის უზრუნველსაყოფად.
- ზემოხსენებული სტრატეგიის შემუშავებამდე განხორციელდეს დროული და ეფექტიანი ღონისძიებები, რათა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი და უწყვეტი გახდეს სახელმწიფო სამედიცინო სერვისებით სარგებლობა;
- შეიმუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები მცირეწლოვან ბავშვებში დეფიციტური კვებით გამოწვეულ დაავადებათა პრევენციისათვის და განისაზღვროს მაღალმთიან რეგიონებში მათი იმპლემენტაციის ეფექტური მექანიზმები.

5.ზოგადი განათლების უფლების განხორციელება

არსებული მდგომარეობა

ზოგადი მიმოხილვა

პროექტის ფარგლებში, განათლების საერთაშორისო და შიდა სტანდარტებით დადგენილი ელემენტების, საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგების მიხედვით გამოიკვეთა, რომ მაღალმთიან რეგიონებში განთავსებულ საჯარო სკოლებში პრობლემურია ზოგადი განათლების კონსტიტუციური უფლების შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების განხორციელება:

- ინკლუზიური განათლების საყოველთაო დანერგვა და დაწესებულებათა ფიზიკური/საგანმანათლებლო გარემოსა და აპტაცია შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის (დეტალურად იხ. თავი №7);
- საბაზო/ზოგადი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრაქტიკაში ეფექტური იმპლემენტაცია, ამ მიზნით დამტკიცებული და დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების/ქვეპროგრამების საყოველთაო დანერგვა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვით;
- საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთათვის უსაფრთხო

და სათანადო ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს შექმნა;

- ეფექტიანი და ხარისხიანი განათლების მიღების უფლება და პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება.


საბაზო/ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლება – საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განათლების თანაბარი ხელმისაწვდომის სტანდარტის დანერგვის პრობლემები, ძირითადად, დაკავშირებულია საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების არასაკმარის რაოდენობასთან, ფიზიკური, ინფრასტრუქტურული და ტერიტორიული ხელმისაწვდომობის საკითხთან, „სკოლების ხელმისაწვდომობის“¹⁵ პროგრამაში საჯარო სკოლების ჩართვის დაბალ მაჩვენებელთან (იხ. ცხრილი №3). შესაბამისად, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც განამტკიცებს თითოეული მოსწავლისათვის ზოგადი განათლების თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს მიღების უფლებას, პრაქტიკაში სრულად ვერ ხორციელდება.

ზოგადი განათლების ფიზიკური/ტერიტორიული ხელმისაწვდომობის მხრივ, პრობლემური მდგომარეობაა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ადიშში, სადაც არ ფუნქციონირებს საჯარო სკოლა. სოფელ ადიშიდან უახლოესი საჯარო სკოლა 9 კმ-ით დაშორებულ სოფელ იფარში მდებარეობს. თავის მხრივ, იფარის საჯარო სკოლა არ არის უზრუნველყოფილი სასკოლო ტრანსპორტით, რის გამოც სოფელ ადიშში მცხოვრებ სასკოლო ასაკის არასრულწლოვნებს შეზღუდული აქვთ ზოგადი განათლების მიღების უფლება.

ცხრილი №3

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

■ სკოლების ხელმისაწვდომობის პროგრამაში ჩართულ დაწესებულებათა რაოდენობა



¹⁵ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 აპრილის №412 ბრძანება „პროგრამა ზოგადი განათლების ხელშეწყობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ნოემბრის №1171 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №1124 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“.

მესტიის მუნიციპალიტეტიდან ასევე აღსანიშნავია დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლაში არსებული მდგომარეობა. კერძოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში რიცხვული 160 მოსწავლიდან 100 სოფელ შგეტიდან, სოფელ ლალაიდიდან, სოფელ ლანჩვალაიდან, სოფელ ლემხალიდან და სოფელ კახრიდან დადის. დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, აღნიშნული სოფლებიდან დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლამდე საშუალო მანძილი არის 2,5 კილომეტრიდან 5 კილომეტრის ფარგლებში. დაბა მესტიის №1 საჯარო სკოლის მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სასკოლო ტრანსპორტით.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების განხორციელების წარმოსაჩენად აღსანიშნავია, ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობა, სადაც 7 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან „სკოლების ხელმისაწვდომობის“ პროგრამაში ჩართულ იქნა მხოლოდ დაბა გუდაურის საჯარო სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის პროცესში, ფიზიკური ხელმისაწვდომობის დამაბრკოლებელი გარემოებები და რისკ-ფაქტორები (დაწესებულებათა ფიზიკური ადგილმდებარეობა, რამდენიმე კილომეტრით დაშორება მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილებიდან, რთული გეოგრაფიულ-ფიზიკური საგზაო პირობები) დანარჩენ 6 სკოლაშიც დაფიქსირდა, მათ შორის დაბა სტეფანწმინდის №1, არშას, სნოსა და სიონის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საბაზო/ზოგადი განათლების ინფრასტრუქტურული ხელმისაწვდომობის მხრივ, ასევე რელევანტურია ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ძიბახევში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობა. სოფელ ძიბახევში საჯარო სკოლა არ ფუნქციონირებს. 2005 წელს, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით, დაწყებითი კლასები 2 ოთახიან „ფიცრულ სახლში“ გაიხსნა. ფუნქციონირებდა 4 დაწყებითი კლასი – პირველი და მე-2, მე-3 და მე-4 კლას-კომპლექტები¹⁶. ბავშვებს ჰყავდათ 3 პედაგოგი. სოფელ ძიბახევიდან უახლოესი საჯარო სკოლა სოფელ ბირკიანში მდებარეობდა და ზემოაღნიშნული კლას-კომპლექტები ბირკიანის გარე კლასებს წარმოადგენდა. მშობლები სოფელ ძიბახევში არსებული კლას-კომპლექტებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურული უზრუნველყოფას ითხოვდნენ, თუმცა 2014 წელს კლას-კომპლექტებიც გაუქმდა¹⁷.

მაღალმთიან რეგიონებში საბაზო/ზოგადი განათლების თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის უზრუნველყოფის მისაღწევად, აუცილებელია, პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, სახელმწიფოს მიერ გაიზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების გეოგრაფიული და ხარისხობრივი ფუნქციონირების მასშტაბები, საჭიროების შემთხვევაში კი, გაიცეს გაზრდილი სახელმწიფო ვაუჩერი¹⁸. ასევე, განათლების კლასიფიკაციის საერთაშორისო სტანდარტების¹⁹ დასაკმაყოფილებლად, უნდა შემუშავდეს სპეციალური მიზნობრივი პროგრამები როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების პრაქტიკაში ხელმისაწვდომი და ეფექტიანი იმპლემენტაციისათვის.

¹⁶ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №10675/1, 22/05/2014.

¹⁷ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №13940/1, 30/07/2014.

¹⁸ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტი.

¹⁹ UNESCO, „International Standard Classification of Education“, 2011.

ხარისხიანი და ეფექტიანი ზოგადი განათლების მიღების უფლება – ეფექტიანი, ინკლუზიური და ხარისხიანი სწავლა-სწავლების პროცესის დანერგვა დაკავშირებულია ისეთ ძირითად გამოწვევებთან, როგორც არის მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ზრდის საჭიროება, ერთი მხრივ, კვალიფიციური კადრების მოზიდვა და პედაგოგთა კორპუსის განახლება და, მეორე მხრივ, მოქმედი პედაგოგების უწყვეტი პროფესიული განვითარება; ასევე, ეროვნული სასწავლო გეგმით გაწერილი სწავლების მეთოდოლოგიური სისტემის ეფექტიანობის დაბალ ხარისხთან, ამ მიზნით დამტკიცებული და დაფინანსებული სახელმწიფო პროგრამების დანერგვის მასშტაბებთან.

ხარისხიანი ზოგადი განათლების უფლების განხორციელებისას, მაღალმთიან რეგიონებში გვხვდება ისეთი ძირითადი პრობლემები, როგორც არის პედაგოგთა კვალიფიკაციის დონე და გადამზადების/კვალიფიკაციის ამალღების საჭიროება, რომლის ერთ-ერთი ინდიკატორიც მუნიციპალიტეტებში სერტიფიცირებულ მასწავლებელთა მცირე მაჩვენებელია (იხ. ცხრილი №5). მაგალითად, მესტიის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლაში დასაქმებული 430 პედაგოგიდან მხოლოდ 34 არის სერტიფიცირებული, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტის 1051 პედაგოგიდან – 67.

რაც შეეხება პედაგოგთა კვალიფიკაციის ამალღებისა და გადამზადების საკითხს, 2014 წლის განმავლობაში მაღალმთიან რეგიონებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელდა რამდენიმე ძირითადი პროგრამა, რომელთა შეფასების ანალიზი მდგომარეობს შემდგომში²⁰:

- „სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების“ პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სწავლა-სწავლების მეთოდისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის საფუძველზე პედაგოგთათვის სასწავლო კურსების ჩატარებას და სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართ დამოკიდებულებისა და განწყობების კვლევას.


აღნიშნულ პროგრამაში, 2014 წლის განმავლობაში, ჩაერთო საქართველოს ყველა რეგიონის 206 საჯარო სკოლა. პროგრამის წარმატებით განხორციელების ხელშეშლელ ფაქტორს მაღალმთიანი რაიონებიდან **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვის მცირე მაჩვენებელი** წარმოადგენს. კერძოდ, პროგრამის დაფარვის არეალი განისაზღვრა ხულოს მუნიციპალიტეტიდან: დაბა ხულოსა და სოფელ ქედლების, შუახევის მუნიციპალიტეტიდან: დაბა შუახევისა და სოფელ ფურტიოს, ქედის მუნიციპალიტეტიდან: დაბა ქედისა და სოფელ წონიარისის, ონის მუნიციპალიტეტიდან დაბა ონის, ამბროლაურის მუნიციპალიტეტიდან - ამბროლაურის №1 და №2, ახმეტის მუნიციპალიტეტიდან - ახმეტის №2 და ქვემო ალვანის საჯარო სკოლები. ამასთან, **პროგრამა არ განხორციელებულა მესტიის მუნიციპალიტეტის საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.**

- „მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების“ პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს, სასწავლო პროექტების განხორციელებისას, „ისტ“-ის ინტეგრირებაში საგნის მასწავლებლების ხელშეწყობას ეროვნული სასწავლო გეგმისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დასაწერად. **პროგრამის განხორციელების ხარვეზს წარმოადგენს პროგრამაში მასწავლებელთა დაბალი**

²⁰ http://www.tpd.c.ge/uploads/pdf_documents/consolidated%20program%202014%20Inclusion%20May%201.pdf

ჩართულობა და ტრენინგების მეორე სტატისტიკური მაჩვენებლები (მაგალითად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ჩატარდა 2 სასწავლო ტრენინგი, ხოლო ამბროლაურსა და მესტიაში - 6) და საბოლოოდ, ინფორმაციულ-ტექნოლოგიური მექანიზმების მოსწავლეთა სწავლებაში დანერგვის არასათანადო ხარისხი.

- „მასწავლებელთა მომზადების და გადამზადების (ტრენინგების)“ პროგრამა ახორციელებს გრძელვადიან სასწავლო კურსებს სხვადასხვა საგნობრივი მიმართულებით და ზოგად პროფესიულ უნარებში. აღნიშნულ პროგრამაშიც საკმაოდ დაბალია **პედაგოგთა ჩართვის მაჩვენებელი**. მაგალითად, **ქედას მუნიციპალიტეტის 654 პედაგოგიდან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამაში ჩაერთო 10, მესტიის მუნიციპალიტეტის 430 პედაგოგიდან - 28, შუახევის მუნიციპალიტეტის 929 მასწავლებლიდან - 56** და ა.შ.



კიდევ ერთი ინდიკატორი, რომელიც ზოგადი განათლების პრაქტიკაში ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას აბრკოლებს, არის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში მდებარე საბაზო/ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კლას-კომპლექტების დიდი რაოდენობა (იხ. ცხრილი №4). მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღრაანის საჯარო სკოლაში ფუნქციონირებს 10 კლას-კომპლექტი, ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეების სკოლაში – 6, ხოლო სოფელ ქედას ქვედა მახუნცეთისა და ოქტომბრის საჯარო სკოლებში – 4 კლას-კომპლექტი. განათლების ხარისხობრივი მაჩვენებელი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გაწერილი აქტივობებისა და სწავლების ინკლუზიურობის დანერგვაზე, რასაც მნიშვნელოვნად აფერხებს სწავლების პროცესში კლას-კომპლექტური მუშაობა. იმისათვის, რათა საჯარო სკოლებში დაინერგოს ეფექტიანი და ხარისხიანი საბაზო/ზოგადი განათლების სტანდარტი, საჭიროა, მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სწავლების ინკლუზიურობის შემაფერხებელი რისკ-ფაქტორები, კლას-კომპლექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის შემცირების ჩათვლით.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა

– პროექტის ფარგლებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ფიზიკური გარემოს შემოწმებამ გამოავლინა, რომ საბაზო/საჯარო სკოლების მნიშვნელოვანი ნაწილი ფუნქციონირებს მოსწავლეთათვის არაკეთილსაიმედო ინფრასტრუქტურულ და სანიტარულ-ჰიგიენურ პირობებში.

განსაკუთრებით პრობლემურია მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა. მაგალითად, აღნიშნული პრობლემა დგას სოფელ ყარსგურიშის საჯარო სკოლის დაწყებითი გარე კლასის წინაშე, რომელიც ზემო მარღში მდებარეობს. აღნიშნულ გარე კლასს არა აქვს გამოყოფილი სპეციალური შენობა და 4 ბავშვს გაკვეთილები სახლში უტარდება. იგივე პრობლემაა მულახის საჯარო სკოლის დაწყებითი გარე კლასში, რომელიც სოფელ მუშკელში მდებარეობს. სკოლა მიტოვებულ სახლშია განთავსებული და 3 მოსწავლესა და 4 მასწავლებელს იტევს.

ფიზიკური და ინფრასტრუქტურული გარემოს გაუმჯობესება ესაჭიროება ასევე, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სოფელ სნოს საჯარო სკოლას, რაც ვლინდება ინფრასტრუქტურის განახლების (სასწავლო ინვენტარის დიდი ნაწილი ათეულობით წელია არ შეცვლილა, კლას-კაბინეტებში არსებული თვალსაჩინოებების დიდი ნაწილი 1960-იანი წლებით თარიღდება), ნაგებობის რეაბილიტაციისა (შენობა აიგო 110 წლის წინ და საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს) და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მოწესრიგების აუცილებლობაში.

მონიტორინგის პროცესში მძიმე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა დაფიქსირდა ასევე, სოფელ წვირმის საჯარო სკოლაშიც. კერძოდ, აღნიშნულ დაწესებულებაში საფრთხის შემცველი ფიზიკური გარემოს პირობებში ფუნქციონირებდა 10 საკლასო ოთახი. სკოლის შენობა იყო ავარიული, ნესტიანი და საკლასო ოთახებს კედლებზე წამონაზარდები ჰქონდა, რომლებიც, სკოლის წარმომადგენლების განცხადებით, სოკოს სახეობას წარმოადგენდა. ძლიერი ნესტის გამო საკლასო ოთახების ფანჯრები მუდმივად სველი იყო. სკოლის შენობის იატაკი ჩაწეული, ხოლო სკოლის ბიბლიოთეკის კედელი ჩამონგრეული იყო. სკოლის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით (№10/9591, 22/07/2014) მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რის საფუძველზეც, დაიწყო სკოლის ახალი შენობის მშენებლობისათვის საჭირო პროცედურები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, არადამაკმაყოფილებელი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებია ყარსგურიშის თემის, სოფელ ლატალის, სოფელ ნაკრასა და მულახის თემის საჯარო სკოლებში (მესტიის მუნიციპალიტეტი), სადაც შენობებში არ ფუნქციონირებს სველი წერტილები, ეზოში დგას ერთბლოკიანი (ე.წ. „აღმოსავლური ტიპის“) საპირფარეშოები, რომლებიც საერთოა როგორც მოსწავლეებისათვის, ისე პედაგოგებისა და სკოლის სხვა თანამშრომლებისათვის. სველ წერტილებს არ მიეწოდება წყალი; სკოლებს არ გააჩნიათ მუდმივი წყალმომარაგებისა და სარეზერვუო სისტემები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან გამოთხოვილი ინფორმაციის²¹ თანახმად,

²¹ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №19908/1, 16/12/2014.

2014 წლის განმავლობაში ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემოს სარეაბილიტაციო სამუშაოები მაღალმთიანი რეგიონების შემდეგ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელდა:

- ახმეტის მუნიციპალიტეტი: ზემო ალვანის №2, მატანის №2, ახმეტის №2 და ოჟიოს საჯარო სკოლები;
- ონის მუნიციპალიტეტი: დების, ჭიორას, ღარის, შეუბანის, პიპილეთის, სორის, გლოლას, უწერის, დაბა ონის საჯარო სკოლები;
- ამბროლაურის მუნიციპალიტეტი: ბუგეულის, ველევის, ურავის, ბოსტანის საჯარო სკოლები;
- მესტიის მუნიციპალიტეტი: უშგულის, დაბა მესტიის №2 საჯარო სკოლები;
- ხულოს მუნიციპალიტეტი - დაბა ხულოს საჯარო სკოლა;
- ყაზბეგის მუნიციპალიტეტი - სტეფანწმინდის №1 საჯარო სკოლა.

მიუხედავად აღნიშნული საჯარო სკოლების რეაბილიტირებისა, პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა ვიზუალურმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ დაბა სტეფანწმინდის №1 და დაბა ხულოს საჯარო სკოლებში ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირება დღემდე არ არის უზრუნველყოფილი, მათ შორის, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მხრივ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალმთიან რეგიონებში მდებარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხო და სათანადო ფიზიკური გარემოს უზრუნველყოფისათვის, საჭიროა, ფართომასშტაბიანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, თითოეული სკოლის სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე და მოსწავლეებისათვის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

სამართლებრივი რეგულირება

საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო მხარს უჭერს საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირებას, კანონით დადგენილი წესით. ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასათვის.

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის მე-3, მე-4 და 29-ე მუხლების ანალიზიდან გამომდინარე, კონვენციის თითოეულმა ხელშემკვრელმა ქვეყანამ, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების მეშვეობით, უნდა უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრაქტიკაში იმპლემენტაცია. ხოლო კონვენციის 28-ე მუხლის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ საშუალო და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა საკუთარი იურისდიქციის ფარგლებში.

ბავშვის უფლებების კომიტეტის (CRC) 2008 წლის 23 ივნისის „დასკვნითი შენიშვნები საქართველოს მიმართ“²² 57-ე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში ხაზგასმულია სახელმწიფოს ვალდებულება, გამოყოს დამატებითი ფინანსური რესურსები განათლების უფლების განხორციელების მიზნით. იმავე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, კომიტეტმა საქართველოს მიმართ რეკომენდაციით - ყურადღება გაამახვილოს ქვეყანაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებასა და ხელმისაწვდომობაზე, განსაკუთრებით რეგიონებში. იმავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საქართველომ უნდა გააუმჯობესოს განათლების ხარისხი სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პარალელურად, განათლების უფლებას საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე განამტკიცებს ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტი და მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით ადგენს ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ზოგადი განათლების პრინციპს.

ამასთან, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მისაღწევად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების დანერგვა. ხოლო, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 და მე-18 მუხლების თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის ზოგადი განათლების უფლების მისაღებად, სახელმწიფოს კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გაატარონ ყველა საჭირო და ქმედითი ღონისძიება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო დონეზე.

განათლების უფლების იმპნენტურ ელემენტებს წარმოადგენს ხელმისაწვდომობა და ხარისხი. აღნიშნულის განსახორციელებლად, ნორმატიულ დონეზე გაწერილი სახელმწიფო ინსტრუმენტებიდან, აღსანიშნავია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 11 აპრილის №412 ბრძანება „პროგრამა ზოგადი განათლების ხელშეწყობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 26 ნოემბრის №1171 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 30 დეკემბრის №1124 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, განახლდა ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობი რიგი სახელმწიფო ქვეპროგრამები. ასევე, აღნიშნული ბრძანებით, დამტკიცდა „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამები“ (პროგრამული კოდი 320211), რომელთა მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეები (პროგრამის მე-2 და მე-3 პუნქტებიდან გამომდინარე). ზემოაღნიშნული პროგრამის მე-4 პუნქტის თანახმად, ზოგადი განათლების ხელშეწყობის განხორციელების გზას წარმოადგენს „სკოლების ხელმისაწვდომობის ქვეპროგრამა“ (პროგრამული კოდი 320211), რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს მოსწავლეთა სასკოლო ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

²² <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

რეკომენდაციები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში ზოგადი განათლების საერთაშორისო და შიდა სტანდარტების იმპლემენტაციისათვის, შემუშავდეს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამები, რომლითაც შესაძლებელი გახდება განათლების ხელმისაწვდომობის, ეფექტიანობისა და ინკლუზიურობის სისტემური უზრუნველყოფა;
- პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველსაყოფად, განხორციელდეს ფართომასშტაბიანი და სისტემური ქვეპროგრამები, გაიზარდოს ამ მიზნით დაფინანსებული, მოქმედი პროგრამების დაფარვის გეოგრაფიული არეალი;
- გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურული მდგომარეობა, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები და განახლდეს სასწავლო ინვენტარი.

6. ბავშვთა მიმართ ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

არსებული მდგომარეობა

საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მისი აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების საკითხები.²³ აღნიშნულს ადასტურებს 2013 წელს გაეროს ბავშვთა დაცვის ფონდის მიერ ჩატარებული კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“.

პროექტის ფარგლებში სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში – მესტიის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ხულოს, შუაქევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად გამოვლინდა გარკვეული დარღვევები ბავშვთა მიმართ ძალადობისა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის სფეროში.

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები²⁴ ადგენს, რომ ძალადობის ფაქტების გამოვლენა, აღკვეთა, ძალადობის მსხვერპლთა დაცვა უნდა განახორციელოს შსს. საპატრულო პოლიციისა და საუზნო სამსახურების წარმომადგენლებმა²⁵. შესაბამისად, სამაგიდო კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა შსს–ს მიერ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელების ეფექტიანობის საკითხი, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შესახებ რეგისტრირებული

²³ საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2013 წელი, გვ. 454.

²⁴ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ – №496 – №45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“

²⁵ იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.

მონაცემები. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკის²⁶ მიხედვით, შსს ტერიტორიული დანაყოფების საგამოძიებო ქვემდებარეობის მიხედვით არსებული სტატისტიკური მონაცემებით, სსკ 126¹ მუხლით 2014 წლის 6 თვეში (იანვარი–ივნისი) რეგისტრირებულია 208 საქმე, რომელზეც დაიწყო გამოძიება. მათგან, ოჯახური ძალადობის შედეგად დაზარალებულ არასრულწლოვან პირთა რაოდენობრივი განაწილება არის შემდეგნაირი – სამეგრელო–ზემო სვანეთი–0; აჭარის რეგიონი–2; იმერეთი, რაჭა–ლეჩხუმი – 3; მცხეთა–მთიანეთი – 7.

პროექტის ფარგლებში შსს სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია²⁷ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალმთიან რეგიონებში არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის თაობაზე, თუმცა, კანონით დადგენილ ვადაში²⁸ აღნიშნული მიმართებების საპასუხო კორესპონდენციები შსს–ს არ მოუწოდებია.

რაც შეეხება ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებისა და დაცვის ღონისძიებების საკითხს, პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხორციელდება არასრულწლოვანზე ძალადობის ფაქტების გამოვლენა (განსაკუთრებით ოჯახში ძალადობის შემთხვევები, მათ შორის ფსიქოლოგიური მუქარა და ზეწოლა), ეფექტიანი სამართალწარმოებისა და ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. აღნიშნულის ერთ–ერთ მაგალითს წარმოადგენს ქედას მუნიციპალიტეტში მცხოვრები 16 წლის არასრულწლოვანი ა.ჩ.–ს საქმე. სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად, ოჯახში ბავშვზე სისტემატურად ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ძალადობა, რის საფუძველზეც, არასრულწლოვანმა სცადა თვითმკვლელობა, თუმცა საქმისწარმოების არცერთ ეტაპზე საქმეში არ მომხდარა სამართალდამცავი ორგანოების ადგილობრივი წარმომადგენლების ჩართვა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვისათვის დაცვის ღონისძიებების განხორციელება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ა.ჩ.–ს უფლებრივი მდგომარეობა არსებითად იქნა შესწავლილი – განხორციელდა პრევენციული ღონისძიებები არასრულწლოვანის შემდგომი არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მიზნით.

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის იმპლემენტაციის მხრივ, ასევე რელევანტურია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა, განსაკუთრებით, პრევენციული ღონისძიებების ეფექტურობის სფეროში. რეფერირების²⁹ პროცედურის მიხედვით, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საქმიანობა

²⁶http://police.ge/files/pdf/9%20%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%202007-2014--6%20%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94____.pdf

²⁷ 2014 წლის 17 დეკემბრის №10 – 2/14449 და 2014 წლის 16 დეკემბრის №10 – 2/14441 წერილები.

²⁸ „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე–18 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები.

²⁹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ – №496 – №45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“

განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლი ან სავარაუდო ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შეფასებით, შემთხვევის მართვით, კონსულტირებით, საჭირო მომსახურებაში ბავშვის განთავსებით და მის მდგომარეობაზე შემდგომი ზედამხედველობით³⁰. როგორც პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებით გამოიკვეთა, აღნიშნული რეგულაციის პრაქტიკაში იმპლემენტაცია ბრკოლდება შემდეგი ფაქტორივი გარემოებების გამო: სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოების რაიონულ ცენტრებში ფსიქოლოგის შტატის დეფიციტი, სოციალურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების საჭიროება, ბავშვის მდგომარეობის შესწავლისა და შემდგომი შეფასების მიზნით, გეგმიური და არაგეგმიური ვიზიტების განხორციელების პრობლემატიკა (მათ შორის არასათანადო ინფრასტრუქტურა, მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების არქონა, რაც აბრკოლებს სოციალური მუშაკის მიერ როგორც გეგმიური, ისე-არაგეგმიური ვიზიტების განხორციელებას), საქმისწარმოების დროულად განხორციელებისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძვლიანად შესწავლის პრობლემატიკა.

როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ძალადობის აღმოფხვრის სფეროში სახელმწიფოს აკისრია როგორც ნეგატიური (უშუალოდ არ დაარღვიოს ადამიანის უფლება), ისე პოზიტიური (მოახდინოს ეფექტიანი რეაგირება უფლების დარღვევის ფაქტებზე) ვალდებულება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, მოხდეს ძალადობის ყველა ფაქტის გამოვლენა სკოლის, სამედიცინო დაწესებულების, სოფლის ექიმის, ბავშვთა სპეციალიზებული დაწესებულების, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, საუბნო სამსახურისა და საპატრულო პოლიციის მიერ.³¹

ნ.ჭ-ს, თ.ჭ-სა და დ.ჭ-ს საქმე

ბავშვის მიმართ ოჯახური ძალადობის განხორციელების ტიპური შემთხვევაა ნ.ჭ-ს, თ.ჭ-სა და დ.ჭ-ს საქმე. საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებმა³² ზემო სვანეთის ერთერთ მუნიციპალიტეტში მცხოვრები არასრულწლოვნების ნ.ჭ-ს, თ.ჭ-სა და დ.ჭ-ს უფლებრივი მდგომარეობის შესახებ შეიტყვეს. როგორც საქმისწარმოებისას დადგინდა, ბავშვები იყვნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლი და მათზე სისტემატურად ხორციელდებოდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. გარდა ამისა, ბავშვებს არ ჰქონდათ ცხოვრების სათანადო პირობები, ხელმისაწვდომი უსაფრთხო და შესაბამისი ფიზიკური გარემო. მშობლების მხრიდან უგულვებელყოფილი ბავშვები ვერ იღებდნენ ზოგად განათლებას, არ ჰქონდათ პიროვნების დამადასტურებელი დოკუმენტები. დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ნ.ჭ-ს, თ.ჭ-სა და დ.ჭ-ს მიმართ სავარაუდო ძალადობის შემთხვევებზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შსს ადგილობრივი რაიონული განყოფილებებში არ განხორციელებულა შესაბამისი სამართალწარმოება და ბავშვთა დაცვის ღონისძიებები.

საქმეზე შემდგომი რეაგირებისა და ბავშვთა დაცვის ღონისძიებების განხორციელების

³⁰ იქვე, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი.

³¹ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ – №496 – №45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მ. 6 (1).

³² საქმე №12507/1.

მოთხოვნით, პროექტის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა მიმართა³³ საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და მოითხოვა შესაბამისი ღონისძიებებისა და რეფერირების პროცედურების განხორციელება. აღნიშნული მიმართვის საფუძველზე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების რაიონული ცენტრის სოციალურმა მუშაკმა ოჯახში გეგმური ვიზიტები განახორციელა³⁴. არასრულწლოვნების მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოკვეთა, რომ მათზე ხორციელდებოდა ძალადობა და სხვა სახის არასათანადო მოპყრობა, მათ შორის უგულვებელყოფა და იძულება. სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, გამოიკვეთა ბავშვების ოჯახიდან გამოყვანისა და სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსების საჭიროება. შედეგად, ძალადობის მსხვერპლი არასრულწლოვნები ჩაერთვნენ მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში³⁵.

სამართლებრივი რეგულირება

ძალადობის ამკრძალავი ნორმატიული ბაზიდან პირველ რიგში საქართველოს კონსტიტუციაა აღსანიშნავი, რომლის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია. იმავე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, დაუშვებელია ადამიანის წამება, არაპატივმოყვარეობა, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელის გამოყენება. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ვალდებულებას.

ბავშვის უფლებების კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უბეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან.

2014 წელს საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს „სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ“ კონვენციას, რომლის რომლის მე-4 მუხლი ავალდებულებს სახელმწიფოს, აღნიშნულ სფეროში მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომები, შემდგომი პრევენციისა და არასრულწლოვანთა დაცვის მიზნით.

ოჯახში ძალადობის შემთხვევებში, ბავშვთა დაცვისა და დახმარებისათვის გასატარებელ აუცილებელ პროცედურებს ითვალისწინებს საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“.

„ზოგადიგანათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 და მე-20 მუხლები განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულებას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრის საქმეში.

³³ კორესპონდენცია №10-2/10099, 05/08/2014.

³⁴ კორესპონდენცია №14277/1, 04/09/2014.

³⁵ კორესპონდენცია №19923/1, 23/12/2014.

არასრულწლოვანთა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან შიდასამართლებრივ დოკუმენტს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანება №152/ნ – № 496 – № 45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“ წარმოადგენს. ინსტრუმენტი ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ სამ უწყებას შორის კოორდინირებულ ქმედებებს ბავშვთა ძალადობისაგან დაცვის საკითხებში.

გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა თავის №8 ზოგადი კომენტარის მე-2 პარაგრაფში ხაზი გაუსვა სახელმწიფოების ვალდებულებას, აღმოფხვრან ძალადობის ყველა ფორმები. კომიტეტმა 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების³⁶ 31–33 პარაგრაფებში მიუთითა საქართველოს ვალდებულებაზე, მიიღოს ყველა ზომა არასრულწლოვანთა მიმართ ძალადობის, განსაკუთრებით, ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ, ბრძოლისათვის.

2014 წელს შემუშავებულ იქნა ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგიის პროექტი³⁷, რომლის პრიორიტეტულ მიმართულებებს წარმოადგენს ბავშვთა მიმართ ოჯახში, სკოლასა და ქუჩაში ძალადობის პრევენცია შესაბამისი მექანიზმებით. **სტრატეგიის დადებით მახასიათებლად** უნდა ჩაითვალოს, რომ ოჯახში ძალადობის ეფექტიანი რეაგირების სფეროში ითვალისწინებს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთათვის ძალადობის ფაქტებზე რეაგირების სახელმძღვანელო ინსტრუქციის მომზადებას, ძალადობის ფორმების დადგენის და გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭირო ურთიერთშეთანხმებული მტკიცებულებების მოპოვების მეთოდის შესამუშავებლად. ასევე, სტრატეგიის პროექტის მიხედვით, უნდა გაძლიერდეს განრიდება-მედიაციის როლი სისხლის სამართლის პროცესში და პრევენციის მექანიზმებად დაინერგოს სამოქალაქო განათლება მედიაცია და რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კონკრეტული პრევენციული მექანიზმები. **სტრატეგიის პროექტის უარყოფით მახასიათებლად** უნდა ჩაითვალოს, რომ იგი არ ეხება სახელმწიფო მზრუნველობაში - მეურვეობა-მზრუნველობის პროგრამაში ჩართულ და მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლებში განთავსებულ ბენეფიციარებს. ასევე, დოკუმენტი არასაკმარისად ასახავს არასრულწლოვანთა ძალადობის პრევენციისათვის საჭირო მექანიზმებს, მასში წარმოდგენილი საპროცესო-სამართლებრივი ინსტრუმენტები შესაძლოა ნაკლებ ეფექტიანი აღმოჩნდეს ძალადობის შემთხვევების მაჩვენებლის მნიშვნელოვნად შემცირებისათვის და ა.შ.

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროებს:

- განხორციელდეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 31 მაისის ერთობლივი ბრძანებაში, №152/ნ – №496 – № 45/ნ „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ“, მითითებული უწყებების თანამშრომლების სისტემური

³⁶ <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

³⁷ <http://police.ge/files/pdf/dzaladobis%20strategia%20saitze%20dasadebi.pdf>

ინფორმირება რეგულირების მექანიზმის გამოყენების შესახებ.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- გადაიდგას ადეკვატური ნაბიჯები საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული სოციალური მომსახურების ცენტრების სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. განსაკუთრებით, ბავშვთა მიმართ ძალადობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და მათზე ადეკვატური რეაგირების კუთხით;
- გადაიდგას ნაბიჯები საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიაზე არსებული სოციალური მომსახურების ყველა ცენტრის ბაზაზე ფსიქოლოგის შტატის დასამატებლად და ძალადობის ფაქტების გამოვლენის სფეროში მისი ეფექტიანი მუშაობის უზრუნველსაყოფად.

რეკომენდაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- შემუშავდეს ეფექტური მექანიზმი ძალადობის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირების, დაცვის ღონისძიებებისა და ეფექტიანი სამართალწარმოების უზრუნველსაყოფად.

7. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა უფლებების განხორციელება

არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში – მესტიის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმება, რომლის შედეგადაც გამოიკვეთა მნიშვნელოვანი პრობლემები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა უფლებების რეალიზაციის მიმართულებით. ამ ბავშვთა მნიშვნელოვანი ნაწილი ვერ ახორციელებს განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის უფლებებს.


უპირველეს პრობლემათაგან აღსანიშნავია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის სტატუსის მინიჭება, რომელიც განსაკუთრებით მწვავედ მესტიის მუნიციპალიტეტში დგას. აღნიშნული პრობლემა გამოიკვეთა საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის რაიონულ ცენტრში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრში რესურსცენტრის უფროსთან, თანამშრომლებთან, ასევე მუნიციპალიტეტის სკოლების დირექტორებთან გამართული შეხვედრების შედეგად.

პრობლემის გამომწვევი რამდენიმე ძირითადი მიზეზი არსებობს. პირველ რიგში, ეს არის არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენლების არასათანადო ინფორმირებულობა ბავშვის რეალური საჭიროებებისა და ქეშმარიტი ინტერესების შესახებ. მეორე მხრივ, აღნიშნულს განაპირობებს ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის წინააღმდეგობა, რომ განხორციელდეს არასრულწლოვანის შეფასება და მისთვის სტატუსის მინიჭება. კიდევ ერთი ძირითადი მიზეზი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ორგანოების არაპროდუქტიულობაა. მაგალითად, მესტიის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალურ მუშაკებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ ისინი არ ფლობენ სრულ ინფორმაციას მათ მუნიციპალიტეტში შემავალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა რაოდენობისა და საჭიროებების შესახებ. ამასთანავე, ისინი საკუთარი ინიციატივით არ ახორციელებენ იმოქმედებებში ვიზიტებს, სადაც, სავარაუდოდ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი ცხოვრობს. შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. ყაზბეგის სოციალური მომსახურების ცენტრის სოციალური მუშაკი რეგულარულ ვიზიტებს ახორციელებს ოჯახებში, აფასებს შშმ არასრულწლოვანთა საჭიროებებს და ადგენს ინდივიდუალური განვითარების გეგმებს.

შეზღუდული შესაძლებლობების/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობა

საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის სფეროში ძირითადი პრობლემები უკავშირდება ინკლუზიური განათლების პროგრამის არასათანადოდ განხორციელების, სპეციალური განათლების პედაგოგთა არასაკმარისი რაოდენობისა და სასწავლო-ინფრასტრუქტურული გარემოს არაადაპტირებულობის საკითხებს. მაგალითად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის დაბებში სტეფანწმინდასა და გუდაურის

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობა



და სოფელ სიონის საჯარო სკოლებში ზოგად განათლებას 6 შშმ ბავშვი იღებს, თუმცა აღნიშნულ სკოლებში არ ფიქსირდება სპეციალური განათლების პედაგოგის შტატი და დაწესებულებათა ფიზიკურ-ინფრასტრუქტურული გარემო არ არის ადაპტირებული ინკლუზიური სწავლებისათვის. მსგავსი მდგომარეობაა მესტიის მუნიციპალიტეტშიც, სადაც შშმ ბავშვთა დიდი ნაწილის სოციალიზაცია და აქტიურ საგანმანათლებლო პროცესში ჩართვა, შეზღუდულად ხორციელდება.

2014 წლის განმავლობაში, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, რაჭის, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აჭარის რეგიონებში სასკოლო ასაკის მოსწავლეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შეფასებას ახდენდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის 15 წევრი. როგორც შემოწმების შედეგების მიხედვით დადგინდა, გასული წლის განმავლობაში, მულტიდისციპლინური გუნდის მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტატუსის მინიჭების სტატისტიკა შემდეგია (ცხრილი №5):

აღნიშნული სტატისტიკის მიხედვით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე არ ფიქსირდება, ხოლო მესტიის მუნიციპალიტეტში ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს მხოლოდ 3 ბავშვს. მაშინ, როდესაც ყაზბეგის მუნიციპალიტეტში მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 7 არასრულწლოვანი, ხოლო მესტიაში 22 შშმ ბავშვი ირიცხება. ასევე, არადამაკმაყოფილებელია შშმ ბავშვთა მიმართ შინ სწავლების მეთოდის გამოყენება. კერძოდ, საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მხოლოდ 8 შშმ მოსწავლის მიმართ ხორციელდება შინ სწავლება³⁸.

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის გართულებულია ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზაცია. მათთვის პრობლემურია უფასო სამედიცინო დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურების სერვისებით სარგებლობა, შესაბამისი მედიკამენტებისა და სპეციალიზებული სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა.

სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრმა შეისწავლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ჩართულობის დონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა სოციალური დახმარების სფეროში. მაღალმთიანი რეგიონების მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების ნაწილი მათზე ერთჯერად ფულად დახმარებას გასცემს (იხ. ცხრილი №6). თუმცა, აღნიშნული ფინანსური დახმარება, მისი ოდენობის გათვალისწინებით, თუნდაც საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებულ სოციალურ დახმარებასთან ერთად,³⁹ არ არის საკმარისი ბავშვისათვის ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შესაქმნელად.

ცალკეულ შემთხვევებში, ზემოაღნიშნული სოციალური დახმარებები არ ვრცელდება ყველა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანზე. მაგალითად, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოციალური დახმარების 2014 წლის ბიუჯეტში სოციალური


³⁸ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია №19908/1, 12/12/2014.

³⁹ იხ. საქართველოს მთავრობის 2013 წლის 23 ივლისის №279 დადგენილება „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“.

დახმარების სამიზნე ჯგუფებში მხოლოდ 16 წლამდე ასაკის პირები გვხვდებიან,⁴⁰ ხოლო შუახვევის, ქედისა და ხულოს მუნიციპალიტეტების გამგეობის 2014 წლის ბიუჯეტში საერთოდ არ არის გათვალისწინებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაცემა (იხ. ცხრილი №6).⁴¹

ცხრილი №6

ერთჯერადი ფინანსური დახმარების ოდენობა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის⁴²



შენიშვნა: ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №16 დადგენილება, „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური დახმარების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“, ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე I და II ჯგუფის უსინათლო ინვალიდებზე ერთჯერად ფინანსურ დახმარებას 150 ლარის, ხოლო იმ პირებზე, რომლებიც ვერ ახორციელებენ დამოუკიდებლად გადაადგილებას, 200 ლარის ოდენობით.

⁴⁰ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №2 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ“, მ. 5.

⁴¹ იხ. შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №14 დადგენილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 აპრილის №4 დადგენილება „ხულოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 20 დეკემბრის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“; ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №20 დადგენილება „ქედის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

⁴² ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის №2 დადგენილება „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტი დამტკიცების შესახებ“; ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 16 იანვრის №3 დადგენილება „ონის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №32 დადგენილება „ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 აგვისტოს №16 დადგენილება „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სამედიცინო მომსახურებისა და სოციალური დახმარების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“; შუახვევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 25 დეკემბრის №14 დადგენილება „შუახვევის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“; მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 17 დეკემბრის №38 დადგენილება „მესტიის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

სამართლებრივი რეგულირება

სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის ვალდებულება შიდა ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო ინსტრუმენტებით აკისრია.

პირველ რიგში, აღსანიშნავია საქართველოს კონსტიტუციის 39-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის პრინციპებიდან“. აღნიშნული მუხლი კონკრეტულად უზრუნველყოფს იმ უფლებებს, რომლებიც კონსტიტუციის პრინციპებს – დემოკრატიული, სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფო – ეყრდნობა. აღნიშნული პრინციპებიდან, პირველ რიგში, სწორედ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა გამომდინარეობს. მართალია, კონსტიტუცია არ მიუთითებს მათი უფლებების დაცვაზე, მაგრამ სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას, დაეხმაროს და შეუქმნას შესაბამისი პირობები იმ პირებს, რომლებიც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო აქტიურად ვერ მონაწილეობენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.⁴³

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების დანერგვას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს უფლებამოსილებას, შექმნას პირობები ინკლუზიური სწავლებისათვის.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის სფეროში ერთერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 იანვრის №76 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014–2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა“. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია არასრულწლოვანთა მიმართ გასატარებელი ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა, ბავშვების საჭიროებების გამოკვეთა, სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩართვა და განათლების ხელმისაწვდომობის უფლების რეალიზების უზრუნველყოფა.

საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 9 ივლისს მიიღო №445 დადგენილება „სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორისო საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის მე-20 პუნქტი ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის, არასრულწლოვანთა უფლებების დაცვას. განსახორციელებელი საქმიანობების ჩამონათვალიდან უმნიშვნელოვანესია შიდა სახელმწიფოებრივი ნორმატიული ბაზისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება,

⁴³საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი 2: საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, 2013. გვ. 483.

განათლების, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

ზემოაღნიშნული ვალდებულებების ასახვამოხდა საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 13 თებერვლის №3337–რს დადგენილებაში „საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები“.

რაც შეეხება საერთაშორისო სტანდარტებს, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბავშვის უფლებების კონვენცია, რომლის 23–ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას“. იმავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანის უფლება, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით. მანვე უნდა უზრუნველყოს ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების გაწევა, რაც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას. იმავე მუხლის მე-3 პუნქტი სახელმწიფოს ავალდებულებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნები უზრუნველყოს შესაძლებლობით, მიიღონ განათლება, ისარგებლონ სამედიცინო, გამაჯანსაღებელი მომსახურებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვნებისათვის ინკლუზიური განათლების საყოველთაო დანერგვისა და განხორციელების აუცილებლობას, ასევე ჯანდაცვის საყოველთაო ხელმისაწვდომობის აუცილებლობას განსაკუთრებით ხაზი გაუსვა გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების 42–46 პარაგრაფებში,⁴⁴ ასევე 2006 წლის №9 ზოგად კომენტარში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას, გაეროს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაა. კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

რეკომენდაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს:

- შეზღუდული შესაძლებლობებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აქტიურად განხორციელდეს ინკლუზიური განათლების პროგრამა და მოხდეს სკოლათა ინფრასტრუქტურულ-საგანმანათლებლო გარემოს ადაპტირება განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის;

⁴⁴ <http://www.refworld.org/type,CONCOBSERVATIONS,CRC,GEO,4885cfab0,0.html>

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- განხორციელდეს ეფექტიანი ზომები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ყველა არასრულწლოვანის მიერ უფასო სამედიცინო დაზღვევით გათვალისწინებული მომსახურების სერვისებითა და შესაბამისი სამედიცინო სპეციალისტების მომსახურებით სარგებლობის სფეროში;
- გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთათვის შესაბამისი მედიკამენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის კუთხით.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- განხორციელდეს რელევანტური ინტერვენციები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ცენტრების საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანთა იდენტიფიცირების, მათი საჭიროებების გამოკვეთისა და მათზე ეფექტიანი რეაგირების მიმართულებით.
- მიღებულ იქნეს ზომები შესაბამისი სოციალური მომსახურების ცენტრების მიერ საქართველოს მაღალმთიან რაიონებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანთა არაგანზოგადებული და მუდმივად განახლებადი სტატისტიკური ინფორმაციის შექმნის მიმართულებით.

რეკომენდაცია ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა მოახდინონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანების საჭიროებების გამოკვეთა და ადგილობრივ ბიუჯეტში აღნიშნული საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით ადეკვატური სახსრების გამოყოფა.

რეკომენდაცია ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს:

- ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა მოახდინონ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 16–18 წლის არასრულწლოვანების საჭიროებების გამოკვეთა და ადგილობრივ ბიუჯეტში ადეკვატური სახსრების გამოყოფა.

რეკომენდაცია ამბროლაურისა და მესტიის მუნიციპალიტეტების საკრებულოებს:

- მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანების საჭიროებების ადგილობრივ ბიუჯეტში ადეკვატური სახსრების გამოყოფა, ერთჯერადი ფინანსური დახმარების გაზრდა.

8. მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების განხორციელება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში

არსებული მდგომარეობა

სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში – მესტიის, ახმეტის, ონის, ამბროლაურის, ყაზბეგის, ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში განხორციელებული ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების ფუნქციონირების სფეროში.

მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის განხორციელება საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში შეფერხებით ხორციელდება. 8 მუნიციპალიტეტიდან აღნიშნულ ქვეპროგრამაში მხოლოდ 16 ბავშვი, მათ შორის 3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანია ჩართული (იხ. ცხრილი №7). მიუხედავად რეალური საჭიროებისა, მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა **ვერ ხორციელდება მესტიის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში**. აღნიშნული ნაწილობრივ განპირობებულია იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებში არ არიან დარეგისტრირებული მიმღები ოჯახები.

რაც შეეხება ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ქვეპროგრამას, უნდა აღინიშნოს, რომ მასში 8 მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 12 ოჯახი და 21 ბავშვია ჩართული (იხ. ცხრილი №8).

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების შესაბამისი ცენტრების საქმიანობის ეფექტიანობა მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამის განხორციელების სფეროში. სოციალური მუშაკების მიერ ვერ ხორციელდება მიმღებ ოჯახებში (რეინტეგრაციის შემთხვევაში – ბიოლოგიურ ოჯახებში) ხშირი გეგმიური/არაგეგმიური ვიზიტები. ეს გარემოება უპირველესად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ სოციალური მომსახურების ცენტრებს არ ემსახურება სპეციალური ტრანსპორტი, რომელიც მხოლოდ რეგიონალურ საკოორდინაციო ცენტრებს გააჩნია. აღნიშნულის გათვალისწინებით, სოციალურ მუშაკებს ხშირად პირადი სახსრებით და შესაბამისად, იშვიათად უწევთ ოჯახებში ვიზიტები. აღნიშნულს მაღალმთიანი რეგიონების ტერიტორიული მისაწვდომობის სირთულეც ემატება, განსაკუთრებით, ზამთრის თვეებში, რაც ხშირად შეუძლებელს ხდის სოციალური მუშაკის ფუნქციის სრულფასოვან შესრულებას.

სოციალური მუშაკების საქმიანობის შეფერხება, საბოლოოდ, მინდობით აღზრდის/ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციის ქვეპროგრამებში ჩართული არასრულწლოვნების საჭიროებების ეფექტიანი გამოკვეთისა და რელევანტური ნაბიჯების გადადგმის სფეროში არსებულ პრობლემებში გამოიხატება.


ლ.მ –სა და ლ.ფ–ს საქმე

მინდობით აღზრდის ქვეპროგრამის განხორციელებაში არსებული ხარვეზების ტიპური შემთხვევაა ლ.მ–სა და ლ.ფ–ს საქმე. საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის ერთერთ მუნიციპალიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენლებს მიეწოდათ ინფორმაცია მინდობით აღზრდის ქვეპროგრამაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორი არასრულწლოვანის შესახებ. ბავშვები ორ სხვა არასრულწლოვანთან ერთად იმყოფებიან მიმღებ ოჯახში.

საქმის შესწავლის შედეგად გამოვლენილმა ფაქტებმა გვაჩვენა, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილობრივი ტერიტორიული ორგანოს საქმიანობაში მნიშვნელოვანი ხარვეზები არსებობს. კერძოდ, სოციალური მუშაკი სათანადოდ არ ახორციელებდა „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებითა და „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონით გაწერილ ვალდებულებებს. კერძოდ, არ ახორციელებდა სისტემატურ ვიზიტებს, რის გამოც, არასრულწლოვანთა საჭიროებები ვერ გამოკვეთა. საქართველოს სახალხო დამცველის ბავშვის უფლებების ცენტრის მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის შედეგად, შესწავლილ იქნა ბავშვების საჭიროებები და გამოიკვეთა ლ.მ–ს სხვა მიმღებ ოჯახში გადაყვანის საჭიროება. თუმცა, პრობლემა მოუგვარებელი რჩება, რადგან მუნიციპალიტეტში სხვა მიმღები ოჯახი ჯერ არ დარეგისტრირებულა.

ცხრილი №7

მინდობით აღზრდაში განთავსებული ბავშვების რაოდენობა⁴⁵




	ყაზბეგი	ახმეტა	ონი	ამროლაური	მესტია	ხულო	შუახევი	ქედა
ცხრილი N7	3	4	4	2	0	0	0	3

⁴⁵ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მეურვეობა–მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის 2014 წლის 11 დეკემბრის №04/99066 წერილი.

ცხრილი №8

რეინტეგრაციის პროგრამაში ჩართული ბავშვების რაოდენობა⁴⁶



სამართლებრივი რეგულირება

მინდობით აღზრდის ინსტიტუტი და ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაცია ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური და კომპლექსური საკითხია. აღნიშნული სფეროს რეგულირებას რამდენიმე შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო აქტი ახდენს.

პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს კანონი „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-11 მუხლი განსაზღვრავს მეურვეობისა და მზრუნველობის ადგილობრივი ორგანოს უფლებამოსილებებს მინდობით აღზრდის სფეროში. მათ შორისაა, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და მისი შესრულების მონიტორინგი, არასრულწლოვანის საცხოვრებელი პირობების, აღზრდის, განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დედობილ/მამობილის მიერ მოვალეობის ჯეროვანი შესრულების მონიტორინგი.

სსიპსოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების ვალდებულებებს ეხება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის №51/ნ ბრძანება „მინდობით აღზრდის პროცედურებისა და ფორმების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძანების მე-16 მუხლის შესაბამისად, ბავშვის მინდობით აღზრდაში გადაცემიდან ერთი თვის განმავლობაში, არანაკლებ კვირაში ერთხელ, სოციალური მუშაკი აწარმოებს მიმღებ ოჯახში ვიზიტს წინასწარი შეთანხმებით ან შეთანხმების გარეშე. ბავშვის მინდობით აღსაზრდელად გადაცემიდან ერთი თვის

⁴⁶ იქვე.

შემდეგ კი მუშაკი ახორციელებს ვიზიტებს არანაკლებ თვეში ერთხელ, სააგენტოსა და მიმღებ ოჯახს შორის დადებული ხელშეკრულებით დადგენილი ვადის განმავლობაში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ №291 დადგენილების 1.9 დანართით რეგულირდება მინდობით აღზრდის ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში უნდა გატარდეს ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა, ოჯახურ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ პირობებში აღზრდის ხელშეწყობა, ბავშვის ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მის ინდივიდუალურ განვითარებასა და საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვის უზრუნველყოფა, ბავშვის ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადების ხელშეწყობა, ბავშვის ბიოლოგიურ ოჯახთან კონტაქტის გაძლიერება და მისი ხელშეწყობის უზრუნველყოფა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.⁴⁷

მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივლისის №445 დადგენილება „საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) დამტკიცებისა და საქართველოს ადამიანის უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის (2014–2015 წლებისათვის) საკოორდინაციო უწყებათაშორის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დოკუმენტის მე-13 პუნქტი ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა მონიტორინგისა და კოორდინაციის მექანიზმის გაძლიერებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მინდობით აღზრდისა და რეინტეგრაციის ქვეპროგრამების მარეგულირებელი ნორმების ჩამოყალიბებასა და დახვეწას.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ იმ შემთხვევათა გამოკლებით, როდესაც კომპეტენტური ორგანოები, კანონისა და პროცედურის შესაბამისად, განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს. იმავე ინსტრუმენტის მე-20 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, არასრულწლოვანს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს, სარგებლობდეს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით. კონვენციის 39-ე მუხლი მიუთითებს, რომ ბავშვის რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ღირსეულ გარემოში.

მინდობით აღზრდის/რეინტეგრაციის ქვეპროგრამების პროცედურების დახვეწაზე გაამახვილა ყურადღება გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტმა 2008 წლის 23 ივნისის ბავშვის უფლებების შესახებ დასკვნითი შენიშვნების⁴⁸ 37-ე პარაგრაფში. კომიტეტმა იმავე დოკუმენტის 34-ე პარაგრაფში ხაზი გაუსვა ამ სფეროში სოციალური მუშაკების ეფექტიანი საქმიანობის მნიშვნელობას.

⁴⁷ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №291 დადგენილება „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“; დანართი №1.9, მ. 2.

⁴⁸ <http://www.refworld.org/type/CONCOBSERVATIONS/CRC,GEO,4885cfab0,0.html>

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს:

- გატარდეს რელევანტური ღონისძიებები სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მომსახურების ადგილობრივი ცენტრების ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით.

რეკომენდაცია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს:

- გადაიდგას ადეკვატური ნაბიჯები მინდობით აღზრდის/რეინტეგრაციის ქვეპროგრამის ფარგლებში სოციალური მუშაკების საქმიანობის ეფექტიანობის გასაზრდელად;
- მიღებულ იქნას ზომები საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში მიმდებ ოჯახად დარეგისტრირების მსურველი ოჯახების ეფექტიანი მოძიების, შეფასებისა და აღრიცხვის სფეროში.